



თბილისის ყოფილი მერის საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ კომუნიკაცია დაიწყო

2015 წლის 28 სექტემბერს თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ მთავრობასთან კომუნიკაცია დაიწყო. საჩივარი ეხება გ.უგულავას წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლებრივ საქმეს, რომელიც მომჩივანის მტკიცებით, პოლიტიკურად მოტივირებულია. გიორგი უგულავა ოპოზიციური პარტიის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელია. მისი დაკავება პარტიის სხვა ლიდერებთან ერთად მოხდა მას შემდეგ, რაც კოალიცია “ქართულმა ოცნებამ” 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა. ევროპული სასამართლოს წინაშე გ.უგულავას ინტერესებს წარმოადგენენ მიდლსექსის უნივერსიტეტის “ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი” და ცენტრის პარტნიორი იურისტები საქართველოში.

გიორგი უგულავა თბილისის პირველი მერია, რომელიც პირდაპირი წესით იქნა არჩეული 2010 წლის 30 მაისს. მისი დაპატიმრება მოხდა 2014 წლის 3 ივლისს, როდესაც იგი უძღვებოდა ოპოზიციური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წინასაარჩევნო კამპანიას. გ.უგულავა ამ დრომდე იმყოფება წინასწარ პატიმრობაში.

თბილისის ყოფილმა მერმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2014 წლის 27 დეკემბერს მიმართა. მომჩივანი დავობს, რომ მისი დაკავება და დაპატიმრება განხორციელდა უკანონოდ, პოლიტიკური მოტივის საფუძველზე და ითხოვს, რომ სასამართლომ დაადგინოს მის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა (თავისუფლების უფლება). ამასთან, მომჩივანი დავობს, რომ მისი დაკავება განხორციელდა ყოველგვარი გონივრული საფუძველის გარეშე, რითაც მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი. გ.უგულავა აგრეთვე დავობს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევით, მას არ მიეცა დაპატიმრებისთანავე ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება. მომჩივანი კონვენციის მე-18 მუხლზე¹ დაყრდნობით აცხადებს, რომ მისი დაპატიმრება და სისხლის სამართლებრივი დევნა იყო პოლიტიკურად მოტივირებული - კერძოდ, იგი დააკავეს მერის არჩევნებამდე ათი დღით ადრე.

ევროპულმა სასამართლომ მთავრობასთან კომუნიკაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი უგულავა 17 სექტემბერს წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელმაც უგულავას წინასწარი პატიმრობა არაკონსტიტუციურად ცნო. თუმცა, თბილისის ყოფილი მერი გაათავისუფლებიდან მეორე დღესვე ახალი ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს.

გიორგი უგულავას საქმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) ფაქტების დამდგენი მისიის მიერ თბილისში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშის ფონზე. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ “მისასალმებელია საკონსტიტუციო

¹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად, “სხენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.”



სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის გამოყენების თაობაზე, მაგრამ, ამავდროულად, “შემამფოთებელია ინფორმაცია იმ საქმეების შესახებ, სადაც, თითქოს გრძელდება წინასწარი პატიმრობის გამოყენება იმ საფუძვლებით, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებთან.” ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2014 წლის 1 ოქტომბერს მიიღო რეზოლუცია “საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ”, რომელშიც აღნიშნულია, რომ “ყოფილი მმართველი პარტიის თითქმის ყველა ლიდერი დაპატიმრებულია, ან მათ წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს,” და “დასანანია, რომ აღნიშნულმა დაძაბულობებმა ზოგ შემთხვევაში დაჩრდილა ქვეყნაში დემოკრატიულ გარემოში მიმდინარე არაერთი პოზიტიური ცვლილება.”

მართლაც, 2012 წლის ბოლოდან მოყოლებული, საქართველოში აღიძრა არაერთი სისხლის სამართლებრივი საქმე მთავრობის ყოფილი წევრების წინააღმდეგ, რომლებიც “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” პარტიას წარმოადგენენ. მათ შორისაა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლის სამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ გიორგი უგულავას მსგავსად, ევროპული სასამართლოს წინაშე ივანე მერაბიშვილის ინტერესებს “ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული ცენტრი” და მისი პარნიორი იურისტები წარმოადგენენ. საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმა, მათ შორის ნატოს გენერალურმა მდივანმა, ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტმა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა და სხვებმა ოფიციალური განცხადებებით არაერთხელ გამოხატეს თავიანთი შეშფოთება 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია “ქართული ოცნების” გამარჯვების შემდეგ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრთა სამართლებრივი დევნის თაობაზე.

ტეგები: საქართველო

უფლების განხორციელებაზე დაწესებული შეზღუდვის საზღვრები

სამართალწარმოება

თავისუფლების უფლება